თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

22.02.2017

N 1058

შპს ,,ჯუბა-2001"-ის დირექტორს

ბ-ნ მ. ასანიძეს

ბატონო მერაბ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

სს "საქართველოს რკინიგზაში" განხილული იქნა თქვენი 2017 წლის 10 თებერვლის განცხადება (სს "საქართველოს რკინიგზის" კანცელარიის რეგისტრაციის № 1342; 13/02-2017 წ.), რომელიც ეხება ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე, წისქვილკომბინატის მოპირდაპირედ, თქვენს საკუთრებაში არსებულ 01.17.11.001.012 საკად. კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მსუბუქი კონსტრუქციის (ლითონი-სენდვიჩპანელი)კომერციული ობიექტის მშენებლობის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ტექნიკურად შესაძლებელია თბილისი საკვანძო - ფონიჭალის სარკინიგზო გადასარბენის კმ 2510 პკ 8-ის გასწვრივ, რკინიგზის გასხვისების ზოლს გარეთ, თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე, თქვენი პასუხისმგებლობის ქვეშ მოაწყოთ, მსუბუქი კონსტრუქციის (ლითონი-სენდვიჩპანელი) კომერციული ობიექტი, წარმოდგენილი გენგეგმის და ესკიზური პროექტის შესაბამისად.

ობიექტის მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს საკანალიზაციო და მეტეოროლოგიური ნალექით გამოწვეული წყლების არიდება მომიჯნავედ განლაგებული რკინიგზის ღიანდაგის მიწის ვაკისიდან. ობიექტის მშენებლობისას დაუშვებელია მიმდებარე რკინიგზის მიწის ვაკისზე სამუშაოების წარმოება.

ვინაიდან ობიექტის მშენებლობა უნდა განხორციელდეს რკინიგზის კუთვნილი ტერიტორიის სიახლოვეს, სადაც განთავსებულია რკინიგზის ბალანსზე არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციები, აუცილებელია სამუშაოები მიმდინარეობდეს რკინიგზის სალიანდაგო მეურნეობის, სიგნალიზაციის ცენტრალიზაციის და ბლოკირების თბილისის (სცბ)

Scanned by CamScanner

სამმართველოს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოს თბილისის კვანძის წარმომადგენლების მეთვალყურეობის ქვეშ, რისთვისაც მშენებლობის დაწყებამდე უნდა დაუკავშირდეთ საღიანდაგო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საღიანდაგო სამმართველოს უფროსს დავით ასიეშვილს, მობ: 591-19-06-82, თბილისის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სამმართველოს უფროსს იოსებ ჯავშანაშვილს, მობ: 591-19-03-17 და საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოს თბილისის კვანძის უფროსს მამუკა ბარათელს, მობ:591-19-90-08.

გარდა ამისა, მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია გადამოწმდეს სხვა მიწისქვეშა კომუნიკაციების არსებობა.

მშენებლობის დასრულების შემდეგ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო დამდგარ შედეგებზე სს "საქართველოს რკინიგზა" იხსნის ყველანაირ პასუხისმგებლობას.

პატივისცემით

ინფრასტრუქტურის დირექტორი

ვ. ხორავა

Scanned by CamScanner